პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 47 (4557)

1972 წ. 7 მარტი, სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობა

გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში თავიანთ XXIX ყრილობაზე შეიკრიბნენ ჩვენი რესპუბლიკის ლენინური კომკავშირის წარგზავნილები. აქ ესწრებიან საქართველოს ყველა რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების დელეგატები.

დილის 10 საათია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი ყრილობას გახსნილად აცხადებს. ყველა ფეხზე დგება. საზეიმო მარშისა და მქუხარე ტაშის გრიალში შეკრებილთა დარბაზში შემოაქვთ საქართველოს კომკავშირის დროშები.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს: პრეზიდიუმს, სამდივნოს, სარედაქციო, სამანდატო კომისიებს.

მქუხარე ტაშის გრიალში საქართველოს კომკავშირის ყრილობის საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

ყრილობა განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; 2. საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის ანგარიში; 3. პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ინფორმაცია; 4. არჩევნები: ა) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა, ბ) საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიისა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ჭანუყვაძე კითხულობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას ყრილობისადმი.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება, — ამბობს იგი, — რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის დიდი შეფასებაა.

მომხსენებელმა ილაპარაკა რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიერ XXVIII ყრილობის შემდეგ ორ წელიწადში გაწეულ მუშაობაზე.

სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამ კომისიის თავმჯდომარე რ. ნინიძე.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ლალიძის ინფორმაცია პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს მუშაობაზე.

შემდეგ გაიმართა კამათი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ მ. გოგიჩაიშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ვ. მჟავანაძე, ა. ჩურკინი, ნ. ცხაკაია, შ. ჭანუყვაძე, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. პუგო, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის რესპუბლიკების სექტორის გამგე ვ. შევჩენკო, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ვ. ხარლანოვი. (საქინფორმი).



საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დარბაზში. პირველ რიგში (მარცხნიდან): ევროპის ჩემპიონი ძიუდოში გ. ონაშვილი, მექსკავატორე მ. მამულაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, მეჩაიე ქ. გოგიტიძე, 18-გზის მსოფლიო რეკორდსმენი საპარაშუტო სპორტში ლ. კოვალიოვა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ისევ კეილენ-დეელსტრა!

## საკავშირო რეკორდი, მაგრამ IV ადგილი...

ჰოლანდიის ქალაქ ჰერენვენში დამთავრდა მოციგურავე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. მრავალჭიდში დაფნის გვირგვინისთვის — წლევანდელი სეზონის ბოლო ჯილდოსთვის 11 ქვეყნის 30 წარმომადგენელი იბრძოდა.

როგორც მუდამ, შეჯიბრება სპრინტერული დისტანციით — 500 მეტრით დაიწყო. პირველ წყვილში შედიოდნენ გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი ლ. ტიტოვა და პოლონელი რ. ტროიცკა. ფინიშთან პირველი იყო ტიტოვა, მაგრამ მისი შედეგი არც ისე მაღალია — 44,85 წამი.

მეორე წყვილში კენჭისყრამ ერთმანეთს შეახვედრა ლენინგრადელი ნ. სტატკევიჩი და ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი, ჰოლანდიელი ა. კეილენ-დეელსტრა. ჰოლანდიელმა მაღალი ტემპით გაირბინა მთელი დისტანცია და საციგურაოს ახალი რეკორდი დაამყარა — 44,23. სტატკევიჩის შედეგია 45,04 (პირადი რეკორდი).

მაგრამ აი, სტარტზე გამოვიდნენ ამერიკელი დ. ჰოლამი — საპოროს ოლიმპიური ჩემპიონი 1500 მეტრზე, და ჰოლანდიელი ვ. დე ბრომი. სტარტიდანვე ჰოლამი დაწინაურდა. ამერიკელს ტემპი არ შეუნელებია, ისე მივიდა ფინიშთან უკეთესი შედეგით — 43,59. ბრომმა მესამე შედეგი აჩვენა.

წარმატებით გამოვიდნენ კეილენ-დეელსტრა და ჰოლამი 1500-მეტრიან დისტანციაზეც. ოქროს ჯილდო კეილენ-დეელსტრამ დაისაკუთრა — 2.17,98. ჰოლამი ბრინჯაოს დასჯერდა — 2.18,51. ვერცხლი ვეტერანს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ს. ბაას-კაიზერს (ჰოლანდია) ხვდა — 2.18,09.

ორი დისტანციის შემდეგ პრიზიორთა სამეული ასე გამოიყურებოდა: ჰოლამი — 89,760 ქულა. კეილენ-დეელსტრა — 90,224, ბაას-კაიზერი — 90,840. სტატკევიჩს მეოთხე შედეგი ჰქონდა — 91,943.

კეილენ-დეელსტრა წარმატებით გამოვიდა გუშინწინ, შეჯიბრების მეორე დღესაც. იგი პირველი იყო 1000 მეტრზე (1.30,49), სადაც ბაას-კაიზერს გაუსწრო (1.31,20), 3000 მეტრზე კი II ადგილი დაიკავა (4.59,24), აქ პირველობა ბაას-კაიზერს ხვდა — 4.54,62.

ორი დღის ასპარეზობის ჯამში ოქროს დიდი მედალი დაისაკუთრა კეილენ-დეელსტრამ. ვერცხლის ჯილდო ხვდა ბაას-კაიზერს, ბრინჯაოსი — ჰოლამს.

სტატკევიჩი IV ადგილზეა და მრავალჭიდის ჯამში 188,81 ქულა დააგროვა. ეს ახალი საკავშირო რეკორდია დაბლობების საციგურაოებისთვის.

# მტკიცე „ფოლადი"

საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს ეძღვნება „განთიადის" რუსთავის საქალაქო სპარტაკიადა.

ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობაში ყველას აჯობეს სპორტკლუბ „ფოლადის" წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ ქიმიური კომბინატის, III — ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის სპორტსმენები.

ვაჟთა შორისაც „ფოლადის" სპორტსმენებმა იმარჯვეს, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტისა და ქიმიური კომბინატის ფრენბურთელებმა კი ადგილები გაცვალეს.

მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობეს საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი ინსტიტუტის სპორტსმენებმა. აშენებლები და ქიმიური კომბინატის წარმომადგენლები მომდევნო ადგილებზე არიან.

მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში № 1 სამშენებლო ტრესტის სპორტსმენებს ბადალი არ ჰყავდათ. II ადგილზე არიან „ფოლადის", III — საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი ინსტიტუტის მოჭადრაკეები.

116 ათლეტის მონაწილეობით ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა. ყველაზე კარგად „ფოლადის" წარმომადგენლები გამოვიდნენ.

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

# იუბილეს მიეძღვნა

ბაკურიანში ჩატარდა საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ზამთრის სპარტაკიადა, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

პირველ ჯგუფში მონაწილეობდა 8 გუნდი, მეორეში — 10.

პირველ ჯგუფში თავიდანვე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა თბილისის „ელექტროაპარატის", ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნისა და მიკროძრავის გუნდებს შორის. საბოლოოდ გაიმარჯვეს „ელექტროაპარატის" ნაკრებმა, რომელმაც I ადგილები დაიკავა სლალომში, ქალთა ესტაფეტაში და 3 კილომეტრზე რბენაში. II ადგილზეა ელმავალმშენებელი ქარხნის გუნდი, რომელმაც მოიგო ვაჟთა შორის 5 კმ-ზე რბენა და 5X5 კმ-ზე ესტაფეტა. მიკროძრაველები III ადგილზე გავიდნენ.

მეორე ჯგუფის გუნდებს შორის თბილსრესის სპორტსმენებმა ყველა სახეობა მოიგეს. საერთო II ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის გაერთიანება ელექტროსისტემის სადისპეტჩერო სამმართველოს ნაკრებმა, III — ენერგეტიკის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის გუნდმა.

მ. ჯანეზაშვილი,
შეჯიბრების მონაწილე.

## [illegible]

ინცელი, 6 მარტი. გფრ-ის ამ მაღალმთიან საციგურაოზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრება ძალიან მაღალი შედეგებით აღინიშნა. 500 მეტრზე სწრაფრბენაში მსოფლიო რეკორდი (38,0 წამი) ერთბაშად ორმა მოასპარეზემ გაიმეორა. ესენი არიან ოლიმპიური ჩემპიონი ე. კელერი (გფრ) და ჰ. ბიორიესი (შვეცია). ამ რეკორდის პირველი ავტორი, მსოფლიო ჩემპიონი სპრინტერულ მრავალჭიდში ლ. ლინკოვესი (ფინეთი) III ადგილით დაკმაყოფილდა (38,5).

1000-მეტრიან დისტანციაზე კვლავ გამოიჩინა თავი კელერმა — 1.18,5. ეს მსოფლიო რეკორდია. ძველი მიღწევა — 1.18,88 — ჰოლანდიელმა ა. სხენკმა შარშან დაამყარა აქვე.

ნახევარი საათის განმავლობაში ორჯერ დაეცა 5000 მეტრზე სწრაფრბენაში სხენკის ძველი მსოფლიო რეკორდი. ჯერ ი. ბოლსმა (ჰოლანდია) ეს მანძილი 7 წუთსა და 10,7 წამში დაფარა, მერე კი თვით სხენკმა აჩვენა 7.09,8.

ულმი (გფრ), 6 მარტი. ძალოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 3 მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ერთის ავტორი გახლავთ ლვოველი ჟურნალისტი ა. ჯნატოვი (უმჩატესი წონა), რომელმაც 2,5 კგ-ით დაამძიმა თავისივე მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში — 120 კგ აჩვენა. მეორე რეკორდის ავტორია ძალოსნური სპორტის ვეტერანი, უნგრელი ი. ფიოლდი (ქვემსუბუქი წონა), რომელმაც 137,5 კგ აჭიმა — ნახევარი კილოგრამი წაუმატა თავისივე რეკორდს.

მეორე საბჭოთა ძალოსანმა დონეცკელმა ი. კოლუბცოვმა (ქვემსუბუქი წონა) თავისივე ოფიციალური მსოფლიო რეკორდი აკვრაში 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა — 155 კგ დაძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# სსრ კავშირის თასზე

გრძელდება მეთექვსმეტედფინალური მატჩები.

თბილისის დინამოელებს 4 მარტს გასვლითი შეხვედრა ჰქონდათ ხარკოვის „მეტალისტთან". ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თავდაპირველი გადაწყვეტილებით ეს მატჩი თბილისში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ხარკოველებმა პირველი თამაში საკუთარ მინდორზე მოითხოვეს.

ხარკოვის „მეტალისტის" სტადიონის ადმინისტრაციამ ყველა ზომას მიმართა სათამაშო მინდვრის წესრიგში მოსაყვანად, მაგრამ ამ დღეს საგრძნობლად ყინავდა და გაქვავებული თოვლით დაფარული მინდორი სათამაშოდ არ ვარგოდა.

უნდა ითქვას, რომ ამ პირობებში თბილისის დინამოელებმა ვერ გამოიჩინეს საჭირო საბრძოლო თვისებები, მობილიზება და მონდომება, ხოლო მასპინძლები, მათგან განსხვავებით, თავდაუზოგავად თამაშობდნენ. ბრძოლის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა.

ანგარიში 78-ე წუთზე გახსნა „მეტალისტმა": იგნატენკომ ძნელი მდგომარეობიდან შეძლო გოლით დაემთავრებინა ფლანგური გადაცემა — 1:0. გავიდა 4 წუთი და „დინამოს" კართან ზუსტად ასეთივე გადაცემა გამეორდა. თბილისელთა მცველმა ებრალიძემ დაასწრო მოწინააღმდეგეებს, მაგრამ სწორად ვერ დაარტყა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. გაიმარჯვა „მეტალისტმა" — 2:0.

„დინამო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჩელიძე, კანთელაძე, ებრალიძე, გავაშელი, ასათიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი, 53-ე წ.), ლ. ნოდია.

ქუთაისში 5 მარტს შედგა მეთექვსმეტედფინალის განმეორებითი შეხვედრა ადგილობრივი და მოსკოვის ტორპედოელთა შორის.

მოსკოველებს პირველი თამაში მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:1. ნათ საპასუხო მატჩიც მოიგეს — 1:0 (ბურთი მე-10 წუთზე გაიტანა სმირნოვმა) და მერვედფინალში გავიდნენ.

წარმატებას მიაღწია კიევის „დინამომაც", რომელმაც ფრედ ითამაშა ივანოვოს „ტექსტილშჩიკთან" — 1:1 (პირველი მატჩი კიეველებს მოგებული ჰქონდათ — 2:1). განმეორებით შეხვედრაში წინ იყვნენ ივანოველები (ლიუბავინი), მაგრამ 87-ე წუთზე შევჩენკომ თანაფარდობა აღადგინა.

ერევნის „არარატმა", რომელსაც პირველი მატჩი წაგებული ჰქონდა ლენინგრადის „დინამოსთან" (0:2), შეძლო რევანშის აღება (1:0), მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოეთიშა გათამაშებას.

პირველი წაგების შემდეგ (0:1) ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" თავის მინდორზე დიდი უპირატესობით ითამაშა ბაქოს „ნეფთჩისთან" და დამაჯერებლადაც გაიმარჯვა — 3:0. ბურთები გაიტანეს ერიომენკომ (2) და ჩორიამ.

წარმატებით განვლო მეთექვსმეტედფინალური ეტაპი ყარაგანდის „შახტიორმა", რომელმაც მინსკის „დინამოსთან" ფრედ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ (1:1) შეძლო მეორე მატჩის მოგება — 1:0 (ბურთი გაიტანა ნოვიკოვმა).

ოდესაში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „ჩერნომორეცი" და ვოროშილოვგრადის „ზარია", ბურთი არ გატანილა — 0:0. პენალტების სერიამ გამარჯვება ოდესელებს მოუტანა — 5:3.

დუშანბეს „პამირმა" შინ წააგო ლვოვის „კარპატისთან" — 1:3, ხოსტაში ფრედ ითამაშეს მოსკოვის „ლოკომოტივმა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" — 1:1.

სოჭში ერთმანეთს შეხვდნენ სვერდლოვსკის „ურალმაში" და მოსკოვის „სპარტაკი" — 0:0. როსტოვის არმიელებმა ნალჩიკში დაამარცხეს ადგილობრივი „ავტომობილისტი" — 1:0.

• • •

მერვედფინალში გასულ გუნდებს შორის არიან: „დინამო" (მოსკოვი), „შახტიორი" (ყარაგანდა), „სპარტაკი" (მოსკოვი), „მეტალურგი" (ზაპოროჟიე), „ჩერნომორეცი" (ოდესა), ასკ (როსტოვი), „კარპატი" (ლვოვი), „დინამო" (ლენინგრადი), „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი), „ტორპედო" (მოსკოვი), „დინამო" (კიევი).

# ვეტერანის ხსოვნის პრიზზე

5 მარტს დაიწყო გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის ხსოვნის პრიზის ტრადიციული გათამაშება რესპუბლიკის „ა" კლასის II ლიგის გუნდებს შორის. ტურნირში მონაწილეობენ „მეტალურგი" (რუსთავი), „მერცხალი" (მახარაძე), „დინამო" (ბათუმი), „დინამო" (სოხუმი), „დილა" (გორი), „კოლხეთი" (ფოთი) და „გურია" (ლანჩხუთი).

გათამაშების პირველ დღეს გაიმართა სამი შეხვედრა და არც ერთ მათგანში ბურთი არ გატანილა. 0:0 — ასე ითამაშეს მახარაძის „მერცხალმა" ბათუმის „დინამოსთან", სოხუმის „დინამომ" — რუსთავის „მეტალურგთან" და გორის „დილამ" — ლანჩხუთის „გურიასთან" (ეს თამაში შედგა ოჩამჩირეში).

შარშანდლისგან განსხვავებით ვეტერანის პრიზი გათამაშდება ორ ეტაპად. საკავშირო შეჯიბრების დაწყებამდე გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან პირველი წრის მატჩებში. შემდგომში, ოქტომბერ-ნოემბერში, გაიმართება ტურნირის დასკვნითი, მეორე წრე. ეს ხელს შეუწყობს გუნდებს გეგმაზომიერად აწარმოონ მოსამზადებელი საწვრთნელი პროცესი (მატჩები შედგება შვიდდღიანი ინტერვალებით, მხოლოდ კვირა-დღეებში).

შემდგომში, როცა საკავშირო გათამაშება დამთავრდება, ვეტერანის ხსოვნის პრიზის მონაწილეებს საშუალება მიეცემათ ხელსაყრელ პირობებში განაგრძონ ბრძოლა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში



# ბოლო წამებში...

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 87:86 (41:38, 75:75, 81:81).

„დინამო": ქორქია (გუნდს შესძინა 29 ქულა), საკანდელიძე (21), სხიერელი (17), უგრეხელიძე (10), ჩიხლაძე (4), ბოლქვაძე (4), მალალაშვილი (2), ფიცხელაური.

„სტროიტელი": კოვალენკო (24), სმოლიაკოვი (14), ზაბროდა (14), ლუშნენკო (12), მარტინოვი (9), გლადუნი (7), რიუპკი (6).

მსაჯები — ა. კოკორევი, მ. დავიდოვი (ორივე — მოსკოვი).

დუბლიორები—77:61 (43:31) „დინამოს" სასარგებლოდ.

სპორტის მოყვარულთა მეხსიერებაში შემონახულია მატჩები, რომლებიც მაღალი რანგის ორთაბრძოლებად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო შედეგებით, არამედ სანახაობრივი თვალსაზრისითაც. სწორედ ასეთი შეხვედრის მოწმენი გახდნენ იმ დღეს სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებლები. კიეველები შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები არიან და, ცხადია, წლეულსაც სურთ თუ უკეთესი არა, ყოველ შემთხვევაში ასეთივე ღირსების მედლების მოპოვება. მაგრამ წლეულს ისინი ძალიან უთანაბროდ თამაშობენ, რაც მათ ამოცანას ართულებს. ასეა თუ ისე, ბრძოლა უწველავათო უნდა ყოფილიყო და ასეც წარიმართა მატჩი პირველი წუთიდანვე.

თავიდანვე ცხადი შეიქნა, რომ კიეველთა თავდასხმის ლიდერის კოვალენკოს წინააღმდეგ თამაში თბილისელებს გაუჭირდებოდათ. მაგრამ დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწორად წარმართეს თამაში და, თუმცა კოვალენკომ გუნდს ყველაზე მეტი ქულა შესძინა, დაცვაში იგი ისე ნაყოფიერი ვერ იყო. დინამოელებმა ამ დღეს თამაში სწრაფ გარღვევებზე და ქორქიას ზუსტ ტყორცნებზე ააგეს. უნდა ითქვას, რომ მათ ბრწყინვალედ დაძლიეს ამოცანა.

ჩვენ არ შევუდგებით ბრძოლის აღწერას. ვიტყვით მხოლოდ, რომ დინამოელები თითქმის მთელი მატჩის მანძილზე წინ იყვნენ და თამაშის სადავეებს ფლობდნენ. მატჩის ძირითადი დროის ბოლო წუთზე უაღრესად დაძაბულ მომენტში დინამოელთა კაპიტანს საკანდელიძეს 4 საჯარიმო ტყორცნის შესრულება მოუხდა. მან ზუსტად მოახვედრა მიზანს სამი და საჭირო გახდა დამატებითი დროის დანიშვნა. პირველმა ხუთმა წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა და, როცა მეორე „ხუთწუთიანის" დამთავრებას 12 წამი აკლდა, კვლავ საკანდელიძეს მოუწია ორი საჯარიმო ტყორცნის შესრულება. ამჯერად დინამოელთა კაპიტანი უფრო ზუსტი აღმოჩნდა და ძნელი გამარჯვებაც თბილისელებს დარჩათ.

ა. მხეიძე.

• • •

სურათზე: განსაკუთრებით მწვავე, გადამწყვეტი მნიშვნელობის მატჩს, როგორც წესი, იგებს ის, ვისაც ნერვები მტკიცე აქვს და თვალი ზუსტი. ამ დღეს მძაფრი მომენტი მრავლად იყო იმიტომ, რომ ორი თანაბარი სიძლიერის გუნდი იბრძოდა. და თუ ერთმა მათგანმა იზეიმა მძიმე გამარჯვება, მხოლოდ იმიტომ, რომ მის წევრებს ნერვები უფრო მტკიცე ჰქონდათ და თვალი ზუსტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 16 | 15 | 1 | 1120—996 | 15 |
| ცსკა | 15 | 14 | 1 | 1271—1023 | 14 |
| „კალევი" (ტარტუ) | 16 | 8 | 8 | 1150—1183 | 8 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 15 | 8 | 7 | 1083—1019 | 8 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 18 | 7 | 11 | 1338—1340 | 7 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 15 | 7 | 8 | 1141—1119 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 7 | 9 | 1221—1266 | 7 |
| ასკ (კიევი) | 15 | 6 | 9 | 1060—1161 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 15 | 3 | 12 | 1002—1098 | 3 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 16 | 3 | 13 | 1089—1280 | 3 |

• •

# იოტისოდენა შანსი

თბილისი. სპორტის სასახლე. 5 მარტი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — ასკ (კიევი) 61:69 (33:45).

„ბურევესტნიკი": ბიჭიაშვილი (გუნდს შესძინა 16 ქულა), ალთაბაევი (13), პულავსკი (6), ჯულელი (6), ძიძიგური (6), გლურჯიძე (5), მაისურაძე (4), ჩხიკვაძე (2), კასრაძე (2), ლეჟავა (1).

ასკ: ხრომაევი (16), ფილოზოფი (15), სუშაკი (14), ჩეჩურა (8), ოკიპნიაკი (8), დერბენცევი (6), შუტოვი (2), ჩუგუნოვი, სალუხინი.

მსაჯები — ს. აფანასიევი, ი. აპოლონოვი (ორივე — ლენინგრადი).

დუბლიორები—94:83 (46:33) „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ.

ჩემპიონატის დასკვნითი, მესამე წრის წინ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქულათა მარაგს. ეს ანბანური ჭეშმარიტება ერთნაირად ეხება როგორც ლიდერებს, ისე აუტსაიდერებს, განსაკუთრებით კი ისეთ გუნდებს, რომლებსაც არცთუ „გრძელი სკამი" აქვთ. რა თქმა უნდა, დღევანდელ მეტოქეთა მდგომარეობა ერთნაირი არაა, მაგრამ თბილისელთა მოგებას კიდევ რაღაც იმედის ნაპერწკალი შეეძლო გაეღვივებინა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

მატჩის ბედი ჯერ კიდევ პირველ ნახევარში გადაწყდა, როცა არმიელებმა 12-ქულიანი აქტივით დაამთავრეს ტაიმი და შესვენების შემდეგ ცდილობდნენ ამ სხვაობის შენარჩუნებას. ეს მათ შეძლეს კიდეც, არც ცდილან ანგარიშში სხვაობა გაეზარდათ და მხოლოდ იმ დროს უტევდნენ მეტოქის კალათს, როცა ამის უტყუარი შესაძლებლობა ჰქონდათ.

ამ წაგებით „ბურევესტნიკს" უმაღლეს ლიგაში დარჩენის იოტისოდენა შანსი კიდევ დარჩა, არმიელებს — სანუკვარ ექვსეულში მოხვედრის რეალური პერსპექტივები.

ა. ცეხანელი.

• •

# სტუმრების გამარჯვებით

კაუნასი, 5 მარტი. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჟალგირისი" და მოსკოვის „დინამო". დაძაბული ბრძოლა სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 69:66.

# საპორო-72

● შიენი, 4 მარტი. ნორვეგიისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდების აქ გამართული მატჩი სტუმრების დიდი უპირატესობით აღინიშნა — 374,5:350,6. პირად ჩათვლაში ბადალი არ ჰყავდა ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს, ვიტებსკელ თ. ლაზაკოვიჩს, რომელმაც სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების ჯამში 76,5 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, ვორონეჟელი ლ. ბურდა — 75,85 ქულა, ხოლო III — ასევე ვორონეჟელი ო. ვოროშილინა — 74,4. მასპინძელთაგან საუკეთესო შედეგს მიაღწია უ. ჰოლმენმა. მან 72,75 ქულა დააგროვა და IV ადგილი დაიკავა. ექვსეულში მომდევნო ადგილებზე არიან მინსკელი ა. კოშელი (72,35) და მოსკოველი ო. კარასიოვა (72,05).

● მინსკი, 5 მარტი. საბჭოთა „კლასიკოსებმა" შესანიშნავად იასპარეზეს ი.-პოდდუბნის აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო მემორიალში: ათი ფინალური ორთაბრძოლიდან ცხრაში გაიმარჯვეს. სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა ესტონელმა მოჭიდავემ ჰ. პილუსტემ (90 კგ), რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში სძლია ოლიმპიურ ჩემპიონს ლ მეცს (გდრ). ეს ტურნირი საბჭოთა ათლეტისთვის პირველი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება იყო. მანამდე იგი იუნიორთა ჯგუფში გამოდიოდა. მძიმე წონაში I ადგილი დაიკავა ე. მერკულოვმა (ვორონეჟი): სსრ კავშირის ჩემპიონმა მსოფლიო ჩემპიონი ა. ტომოვი (ბულგარეთი) დასცა ბეჭებზე. თუ მერკულოვისთვის პოდდუბნის მემორიალში ეს პირველი გამარჯვება გახლდათ, ბელორუსიის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, მსოფლიო ჩემპიონმა უმჩატეს წონაში ვ. ზუბკოვმა თავისებური რეკორდი დაამყარა. მან ამ შეჯიბრებებში მესამედ მოიხვეჭა ოქროს მედალი. სხვა წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: მინსკელმა ხ. ბაბახანოვმა (52 კგ), ტაშკენტელმა რ. კაზაკოვმა (57), ბუხარელმა ა. წადიევმა (62), ბულგარელმა ს. ივანოვმა (68), ომსკელმა კ. ხალილოვმა (74), ალმაათელმა ა. ნაზარენკომ (82), მოსკოველმა ნ. ბალბოშინმა (100).

● ბუდაპეშტი, 5 მარტი. მიუნხენის ოლიმპიადისთვის მზადების პროგრამით აქ შაბათ-კვირას გაიმართა უნგრეთისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა: ქალებმა ანგარიშით 373,45:370,40, ვაჟებმა — 557,30:538,35. ქალთა პირად ჩათვლაში VI ადგილზეა ბათუმელი რ. სიხარულიძე — 73,65 ქულა (პირველი იყო მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, გროზნოელი ლ. ტურიშჩევა — 76,35). ვაჟთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა მ. ვორონინმა — 112,35.

● ნესშე (შვეცია), 6 მარტი. უფელი მრბოლელი გ. კადიროვი მეხუთედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ყინულზე მოტორბოლაში. აქ გამართულ ფინალურ შეჯიბრებაში მან გასაოცარ წარმატებას მიაღწია: ყველა სერია მოიგო და 15 ქულა დააგროვა 15-დან. ვერცხლის პრიზიორი გახდა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი ა. შვაბი (ჩეხოსლოვაკია) — 13 ქულა. ბრინჯაოს მედალი სსრ კავშირის 1972 წლის ჩემპიონს ვ. პაზნიკოვს ხვდა — 12. V ადგილი დაიკავა კ. დემახინმა — 11. ბედმა უმუხთლა საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მრბოლელს ი. დუბინინს — მესამე სერიაში იგი დაეცა.

● ლაჰტი, 6 მარტი. საპოროს XI თეთრი ოლიმპიადის გმირმა გ. კულაკოვამ აქ მიმდინარე ლაჰტის ტრადიციულ თამაშებში ორ გამარჯვებას მიაღწია. შაბათს მან ყველაზე სწრაფად მიიტანა ფინიშთან ესტაფეტის ჯოხი. როგორც საპოროში, იგი ახლაც მესამე ეტაპზე ასპარეზობდა (პირველ ეტაპზე გამოდიოდა ჟ. ულისტრატოვა, მეორეზე — ნ. ფიოდოროვა). გამარჯვებული გუნდის დროა 49.39. 3×5 კილომეტრზე ესტაფეტაში II ადგილი დაიკავა ფინეთის ნაკრებმა (50.28), ხოლო III — ნორვეგიის გუნდმა (50.29). მეორე დღეს კულაკოვამ ყველას აჯობა 10 კილომეტრზე რბოლაში — 31.50. ფიოდოროვა მეშვიდე იყო (33.00), ხოლო ელისტრატოვა — მერვე (33.07). 15-კილომეტრიან დისტანციაზე საუკეთესო იყო ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სახელგანთქმული ფინელი ვეტერანი, 36 წლის ე. მიანტიურანტა — 47.18. გამარჯვებულს 23 წამით ჩამორჩა II ადგილზე გასული ვ. ტარაკანოვი. IV ადგილზეა ი. სკობოვი (47.49). საპოროს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა პ. ტილდუმმა (ნორვეგია) მხოლოდ VII ადგილი დაიკავა — 48.08. 50 კილომეტრზე რბოლაში გაიმარჯვა ფინელმა ჰ. ტაიპალემ — 2:40.23. მას ზუსტად 2 წუთით ჩამორჩა II ადგილზე გასული ვ. დოლგანოვი. საპოროს ბრინჯაოს პრიზიორი კ.-ჰ. ლიუკი (გდრ) უძლიერესი იყო ორჭიდში — 422,50 ქულა. II ადგილზეც გდრ-ის წარმომადგენელია — ჰ. ჰარტლები — 422,35. საპოროს ვერცხლის პრიზიორი რ. მიეტინენი (ფინეთი) ამჯერად მესამე იყო — 418,90.

# როგორ სათვალეს გაიკეთებენ მსაჯები?

წლევანდელი სეზონი ფიგურული ციგურაობის წარმომადგენელთათვისაც ერთობ დაძაბული და საინტერესოა. ეროვნული ჩემპიონატები სათვალავში რომ არ ჩავაგდოთ, წლის დამდეგს გაიმართა ევროპული პირველობა, მას მოჰყვა საპოროს „თეთრი თამაშები" და აი, დღეს კანადის ქალაქ კალგარის ყინულის სარბიელზე სტარტს აიღებს მისი უდიდებულესობა — მსოფლიო ჩემპიონატი.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ სპორტის ამ წარმტაც და არტისტულ სახეობაში ბოლო წლების ევროპული შეჯიბრებები აშკარად გაფერმკრთალდა. ეს სავსებით გასაგებია: ასპარეზი დატოვეს მსოფლიო ფიგურული ციგურაობის ისეთმა კაშკაშა ვარსკვლავებმა, როგორიც იყვნენ ემერიკ დანცერი, ვოლფგანგ შვარცი, გაბრიელე ზაიფერტი, ჰანა მაშკოვა, დიანა ტაულერი და ბერნარდ ფორდი... (ამგვარი დანაკლისი ფიგურულმა ციგურაობამ ამერიკის ნახევარსფეროშიც განიცადა, როცა სპორტს დაემშვიდობნენ განუმეორებელი პეგი ფლემინგი, ესპანსური „ოჯახური" დუეტი — და-ძმა სინტია და რონალდ კაუფმანები, მაღალტექნიკური ტიმ ვუდი, მაგრამ იქ, განსაკუთრებით ქალთა ერთეულების თანრიგში, ძალიან საინტერესო, ორიგინალური ფიგურისტები დაოსტატდნენ, პირველ ყოვლისა, კარენ მაგნუსენი და ჯანეტ ლინი).

ძლიერთა ამა ქვეყნისა წასვლა ყველაზე ნაკლებად ყინულზე სპორტულ ცეკვებს დაეტყო: ჯერ კოდავ ტაულერ — ფორდის ბატონობის ხანაში მთელის ბრწყინვალებით აკიაფდა დიდებული მოსკოვური წყვილის ლიუდმილა პახომოვასა და ალექსანდრე გორშკოვის განსაცვიფრებელი ნიჭი. ამ უბადლო დუეტების ყინულოვანი დუელი სარბიელიდან ინგლისელების წასვლამ შეწყვიტა. მათი ადგილი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამართლიანად დაიკავა საბჭოთა წყვილმა.

ყველაზე მეტად ერთეულ ქალთა თანრიგი გაღარიბდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ აგერ უკვე მესამე წელია ევროპულ და, ასე გასინჯეთ, მსოფლიო ფიგურულ ციგურაობას ამ დარგში ლიდერობს ავსტრიელი ბეატრის შუბა, რომლის ხილვა ნებისმიერ პროგრამაში პირდაპირ გუნებას უფუჭებს კაცს. „თეთრი გედის ნატიფი ელვარება", „სილამაზის ფეიერვერკი", „თავბრუდამხვევი კასკადები ყინულზე", — ეს სიტყვები, რომლებიც პრესის ფურცლებზე ტრადიციულად ახლდა ფლემინგის, ზაიფერტისა და მაშკოვას გამოსვლებს, თავისი მოუქნელი, უღიმღამო ციგურაობით ვენელმა ქალიშვილმა ერთიანად გადახაზა. შუბას წარმატება თანამედროვე ჩათვლის მანკიერმა სისტემამ განაპირობა (საბედნიეროდ, გაისიდან ეს სისტემა ძირფესვიანად იცვლება — სავალდებულო პროგრამა, ეგრეთ წოდებული „სკოლა" შეიკვეცება, ნებისმიერ პროგრამას კი გაცილებით მეტი უპირატესობა მიეცემა). ავიღოთ, მაგალითად, შუბას გამოსვლა წლევანდელ ევროპულ ჩემპიონატში (გეტებორგი, 11-16 იანვარი). „სკოლის" შემდეგ მან 1243,1 ქულა დააგროვა და თავი უახლოეს მდევარს, შვეიცარიელ შარლოტა ვალტერს 130,6 ქულით, ხოლო საბოლოო ჯამში III ადგილზე გასულ სონია მორგენშტერნს (გდრ) მთელი 233,6 ქულით გაუსწრო (მორგენშტერნმა „სკოლაში" VI ადგილი დაიკავა). ჩემპიონატის პრეს-ცენტრში ხუმრობდნენ: ტრიქსიმ (ასეთი მეტსახელი აქვს შუბას) ნებისმიერ პროგრამაში საჯდომით რომ იხოხოს, ოქროს მედალს მაინც ვერავინ წაართმევსო...

ასეც მოხდა: შუბა ნებისმიერ პროგრამაში პირველი სამეულის მიღმა დარჩა და... ჩემპიონი გახდა. სად არის სამართალი?! ნუთუ თითქმის ყველაფერს უნდა წყვეტდეს დილის საათებში უმაყურებლოდ („სკოლის" ექვსი ფიგურის მონოტონურად ხაზვის ცქერას ვინ გაუძლებს...) გამართული შეჯიბრება სავალდებულო პროგრამაში? თუმცა ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან, როგორც იქნა, ჩათვლის ეს მეტად მტკივნეული საკითხი უკვე პრინციპულად გადაწყდა.

რახან სიტყვა ევროპულ ჩემპიონატზე ჩამოვარდა, ამ შეჯიბრების ზოგიერთი მომენტი გავიხსენოთ. ჩემპიონატის პირველი (და უკანასკნელი) სენსაცია მოხდა შეჯიბრების... გახსნის წინადღით: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს უღალატა მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა, ვაჟთა ერთეულების თანრიგში მოასპარეზე გ. ციოლერმა — იგი სასტუმროდან გავიდა და თავის გუნდში აღარ დაბრუნებულა. ცნობილი გახდა, რომ ციოლერი დასავლეთ გერმანიაში გაიქცა. ასე მოექცა ეს რენეგატი თავის გუნდს, რომელმაც იგი აღზარდა და დიდი სპორტის გზაზე დააყენა.

შუბა წინდახედული ქალია. ტურნირის დაწყებამდე მან განაცხადა, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სპორტს თავს დავანებებო. როგორც ჩანს, იგი არ ელოდა „სკანდინავიუმის" დარბაზის — გეტებორგის 250 წლისთავისადმი მიძღვნილი ამ შესანიშნავი სპორტის სასახლის ყინულზე ოქროს მოხვეჭას. და მოიხვეჭა. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და მან.... საპოროს ზამთრის XI ოლიმპიადაშიც აიღო სტარტი. და ისევ „სკოლისა" და არსებული უსამართლო სისტემის წყალობით კვლავ უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. თუმცა, ამჯერად მას მეტი წინააღმდეგობა შეხვდა — უმთავრესად მაგნუსენისა და ლინის მხრივ. „თეთრი ოლიმპიადის" წინ შუბამ ისევ გამოთქვა თავისი გადაწყვეტილება — ეს ჩემი ბოლო გამოსვლა იქნებაო. მაგრამ ოქროს ბრწყინვალება მეტად მაცთუნებელია და ავსტრიელ ქალიშვილს კალგარის ასპარეზზეც ვიხილავთ. ეს კი მართლაც მისი კარიერის წერტილად მოგვევლინება, ვინაიდან გაისად, როცა ჩათვლის ახალი სისტემა შევა ძალაში, შუბას დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში საპრიზო ადგილზე გასვლის არავითარი შანსი არ ექნება.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საპოროში ერთეულ ქალთა თანრიგში ასპარეზობა გაცილებით მიმზიდველი და სრულფასოვანი იყო, ვიდრე ევროპულ ჩემპიონატში. ჩვენი აზრით, ევროპაში ერთეულ ქალთა შორის დღესდღეობით ერთადერთი საინტერესო ფიგურა ზაიფერტის დედის — საქვეყნოდ ცნობილი მწვრთნელის იუტა მიულერის აღსაზრდელი მორგენშტერნი გახლავთ. თავი დავანებოთ იმას, რომ სონია ერთადერთია ქალთა შორის, ვინც სამმაგ ბრუნს სტაბილურადაა დაუფლებული. ეს არის უაღრესად ექსპრესიული, ტემპიანი (ამ მხრივ იგი ზაიფერტს მოგაგონებთ), მაგრამ ამავე დროს მომაჯადოებელი არტისტიზმით აღსავსე, ნატიფი და დახვეწილი, საინტერესო შენაერთებისა და გადასვლების მქონე მოციგურავე. გეტებორგში მან ღირსეულად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი და ნებისმიერ პროგრამაში ერთი „ექვსიანიც" კი დაიმსახურა.

დანარჩენები? მაღალი რანგის გასაღებით თუ მივუდგებით, შეიძლება გავიხსენოთ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი რიტა ტრაპანეზე (იტალია) და IV ადგილის მფლობელი ჟუჟა ალმაში (უნგრეთი), მაგრამ ისინი მხოლოდ საშუალო დონის კარგი ოსტატები არიან, სხვა არაფერი.

ევროპული ჩემპიონატის ყველაზე უსამართლო ამბავი პახომოვა — გორშკოვის დუეტის II ადგილზე გასვლა იყო. ისინი აშკარად დაჩაგრეს. ეს თავიდანვე ნათელი გახდა უკვე ორი კომპოზიციის შემდეგ. მსაჯების ნაწილმა ძალიან გულმოდგინედ „იმუშავა", რათა დასავლეთგერმანული წყვილი (ანჟელიკა და ერიჰ ბუკები) თავიდანვე დაწინაურებულიყო. სიღამოს პახომოვასა და გორშკოვის დამრიგებელმა, საქვეყნოდ ცნობილმა მწვრთნელმა ე. ჩაიკოვსკაიამ ნაღვლიანად გვითხრა: ყველაფერი ნათელი და გადაწყვეტილიაო. საბჭოთა წყვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ განსაცდელის წინაშე მას წარბიც არ შეუხრია, ბოლომდე ვაჟკაცურად, პირდაპირ ბრწყინვალედ იასპარეზა და... II ადგილი დაიკავა.

ჩვენ ოდნავადაც არ გვსურს ჩრდილი მივაყენოთ ძალიან ტექნიკური გერმანული დუეტის მაღალ ოსტატობას. ბუკები მართლაც ჩინებულად გამოვიდნენ, დარბაზიც ძალიან მოხიბლეს და ზოგიერთი მსაჯიც „მოაჯადოვეს", მაგრამ ოქროს მედლების ღირსნი მაინც არ იყვნენ.

ამასთან დაკავშირებით ერთი მოსაზრება უნდა მოგახსენოთ. ბუკებმა თავიანთ პროგრამაში უხვად შეიტანეს წყვილთა სრიალის მეტისმეტად ეფექტური ელემენტები, რომლებიც ძალიან მომგებიანად გამოიყურებოდნენ. „სკანდინავიუმის" სავსე ტრიბუნები (ეს ვეებერთელა დარბაზი მხოლოდ სამჯერ შეივსო: წყვილთა სრიალის და ცეკვების ნებისმიერი პროგრამისას, აგრეთვე, დასკვნითი, საჩვენებელი გამოსვლების დროს) მქუხარე ტაშით ხვდებოდა სწორედ ამ (წყვილთა სრიალის) ელემენტებს, მაშინ, როცა პახომოვასა და გორშკოვს თავიანთ უზადო პროგრამაში — ცეკვის პროგრამაში არც ერთი ელემენტი არ ჰქონდათ წყვილთა სრიალიდან ნასესხები. ასეთ დროს მსაჯებს უნდა ეთქვათ გადამწყვეტი სიტყვა, თორემ მაყურებელი ფიგურული ციგურაობის ნიუანსების შემფასებლად რომ არ გამოდგება, ეს ცხადზე უცხადესია. მსაჯებს კი არ უნდოდათ ყოველივე ამის დანახვა, მით უმეტეს, სანახაობით მოტყუებული მაყურებლის სტვენა არ ემუქრებოდათ...

და აი, ახლა კალგარის ჯერი დადგა (ოლიმპიურ პროგრამაში, როგორც მოგეხსენებათ, ყინულზე სპორტული ცეკვები ჯერჯერობით არ შედის). ვნახოთ, როგორ სათვალეს გაიკეთებენ ამჯერად ცეკვის განმსჯელი მსაჯები...

**მ. კაკაბაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

გეტებორგი — თბილისი.

* * *

სურათზე: ს. მორგენშტერნი ჟურნალ „სტადიონის" (ჩეხოსლოვაკია) ყდაზე.




# ფინალის მისადგომებთან

მოსკოვი, 6 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საკავშირო საჭადრაკო ოლიმპიადის მეოთხე დღეს ლიდერს — რსფსრ-ს გუნდს — ერთბაშად ორმა ნაკრებმა გაუსწრო — შესაბამისად 3,5 და 3 ქულით მოსკოვისა და უკრაინის კოლექტივებმა. ეს მოხდა III ტურის ზოგიერთი პარტიის დამთავრებისას და IV ტურში ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ. რსფსრ-ს კოლექტივს აქვს „მარტო" 30 ქულა და 8 გადადებული პარტია, როცა მოსკოველებს 2 პარტია აქვთ გადადებული, უკრაინელებს — 4.

ეს, როგორც იტყვიან, დაუსწრებელი ბრძოლაა ყველაზე მეტი ქულის მოსაგროვებლად მანამ, სანამ მეტოქენი სამ სხვადასხვა ჯგუფში თამაშობენ.

IV ტურის შედეგები ასეთია: ლენინგრადი — ესტონეთი 4,5:4,5 (3 პარტია გადადებულია); აზერბაიჯანი — რსფსრ 2,5:4,5 (5), ლიტვა — თურქმენეთი 4,5:1,5 (6), ლატვია — ბელორუსია 3:3 (6), ტაჯიკეთი — მოსკოვი 2:9 (1), სომხეთი — ყირგიზეთი 3,5:1,5 (7), უკრაინა — მოლდავეთი 7:2 (3).

ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა I ტურის გადადებულ პარტიებში სომხეთის წარმომადგენლებთან ასე ითამაშეს: ზ. მიქაძემ და ვ. ვეფხვიშვილმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები ა. აკოფიანთან და ა. ნავოიანთან. ამრიგად, სომხეთთან მატჩი მოგებულია ანგარიშით 9:3.

II ტურის გადადებულ პარტიებში ყირგიზეთის წინააღმდეგ ე. გუფელდმა, რ. ჯინჯიხაშვილმა, ს. ჩეჩელიანმა და დ. გედევანიშვილმა შესაბამისად დაამარცხეს ი. კრუტიხინი, ი. ეროშოვი, ლ. მამატოვი და ბ. გენდლერი, ხოლო თ. ხუგაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რ. ვენდროვასთან. ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 10.2 ჩვენების სასარგებლოდ.

III ტურში საქართველოს მოჭადრაკეები უკრაინელებს შეხვდნენ. გუფელდმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ვ. სავონთან, ჯინჯიხაშვილმა წააგო ლ. შტეინთან. ე. უბილავამ და ბ. გურგენიძემ ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები ვ. ტუკმაკოვთან და მ. პოდგაეცთან. მიქაძემ წააგო ვ. ჟიდკოვთან, გედევანიშვილმა — ო. რომანიშინთან, ვეფხვიშვილმა — ა. ბელიავსკისთან, ხოლო გ. ზაიჩიკმა — ა. მიხალჩიშინთან. ყაიმით დამთავრდა ც. კობაიძე — მ. შულის შეხვედრა. ხუგაშვილ — ლ. სემიონოვას პარტია გადაიდო. თ. კაჭარავა ყაიმზე შეუთანხმდა ა. ჩორნაიას, ხოლო მ. წერეთელმა წააგო სსრ კავშირის გოგონათა ჩემპიონთან მ. გასიუნასთან. ანგარიში ჯერჯერობით 8,5:2,5-ია უკრაინის გუნდის სასარგებლოდ (1 პარტია გადადებულია).

IV ტურში საქართველოს მოჭადრაკეები უზბეკეთის წარმომადგენლებს ეთამაშნენ. გუფელდი, ჯინჯიხაშვილი და უბილავა ყაიმზე შეუთანხმდნენ გ. ბორისენკოს, ლ. მასლოვსა და მ. რუდერფერს. ჩეჩელიანმა წააგო ე. მუხინთან. გურგენიძემ გადადო პარტია ა. გრუშევსკისთან. გედევანიშვილმა წააგო ე. კიმთან, ხოლო ვეფხვიშვილმა — ა. ტამხოჯაევთან. ზაიჩიკმა გადადო პარტია გ. აგზამოვთან. კობაიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბორისენკოსთან. ხუგაშვილმა წააგო ა. მკრტჩიანთან, ხოლო კაჭარავამ მოუგო ა. ბარაკინას. წერეთელი და თ. მანინა ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიშია 6,5:3,5 უზბეკეთის სასარგებლოდ (2 პარტია გადადებულია).

გუნდების მდგომარეობა ჯგუფების მიხედვით ბოლო ტურის წინ ასეთია: I ჯგუფი: რსფსრ — 30 ქულა (8 გადადებული პარტია), ლენინგრადი — 26,5 (5), ესტონეთი — 24,5 (6). II ჯგუფი: მოსკოვი — 33,5 (2), ბელორუსია — 16,5 (7), ლატვია — 16 (6). III ჯგუფი: უკრაინა — 33 (4), საქართველო — 25 (3), უზბეკეთი — 24 (3).

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ. ხვალ ჯგუფებში ბოლო ტურია. საქართველო მოლდავეთს ხვდება, ხოლო უზბეკეთი — სომხეთს.

**თ. გიორგაძე,**
ოლიმპიადის მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

# სპასკი—ფიშერის მატჩის ირგვლივ

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციას კვლავ მიაჩნია, რომ ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და რ. ფიშერს (აშშ) შორის მსოფლიო პირველობაზე მატჩის ორ ქალაქში ჩატარება აშკარად არ შეესაბამება ფიდე-ს წესებს. ამასთან, ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის სურვილს, რომ მატჩი ჩატარებულიყო ევროპის რომელიმე ქალაქში, სადაც ზომიერი ჰავაა. მიუხედავად ამისა, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია მზადაა განიხილოს მატჩის პირველი ნახევრის ბელგრადში, ხოლო მეორე ნახევრის რეიკიავიკში ჩატარების საკითხი წესებით დადგენილ ვადებში, ესე იგი, არა უგვიანეს 1 ივლისისა.

ეს ყველაფერი ნათქვამია წერილში, რომელიც 4 მარტს გადაეცა მოსკოვში ფიდე-ს პრეზიდენტ მ. ეივეს (ჰოლანდია) და რომელსაც საბჭოთა ფედერაციის დავალებით ხელს აწერს სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორი ვ. ბატურინსკი.

ფედერაციას ამ მიზნით აუცილებლად მიაჩნია უახლოეს დღეებში მოეწყოს მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფიდე-ს პრეზიდენტი, სსრ კავშირისა და აშშ-ს საჭადრაკო ფედერაციების წარმომადგენლები — მატჩის მონაწილეთა მიერ ოფიციალურად რწმუნებული პირები, აგრეთვე, იუგოსლავიისა და ისლანდიის წარმომადგენლები. (საკდესი).

# ორი ლიდერი

გაიმართა თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის კიდევ ორი ტური.

VII ტურში ს. მეგრელიშვილმა მოუგო გ. მეხრიშვილს, ხოლო კ. ჩიგოგიძე — მ. ლევინისა და შ. ჰრელაშვილი — გ. კალატოზიშვილის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

VIII ტურში პ. შაქარიანმა დაამარცხა ე. კუშჩიანი, გ. ბალოიანმა — მეხრიშვილი, რ. კაპანაძემ — გ. ციხელაშვილი, ლევინმა — ჰრელაშვილი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას დ. ჯანოევმა სძლია ბალოიანს, ციხელაშვილმა — მ. ფრიდინსკის, ამ უკანასკნელმა კი მეგრელიშვილს.

8 ტურის შემდეგ თბილისის შარშანდელ ჩემპიონს ლევინსა და ციხელაშვილს 5,5-5,5 ქულა აქვთ, კალატოზიშვილს — 5 ქულა 7-დან, ხოლო ჯანოევს, შაქარიანსა და ჩიგოგიძეს — 4,5-4,5 ქულა 6-დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთის ფეხბურთის ველებზე

# თასი, ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები



△ ბუქარესტი. ადგილობრივ „23 აგვისტოს“ დარბაზში მძლეოსანთა ზამთრის ევროპული ჩემპიონატის ეგრეთ წოდებული გენერალური რეპეტიცია გაიმართა. სარბიელზე გამოვიდნენ რუმინეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის გდრ-ისა და ინგლისის სპორტსმენები. შეჯიბრება ორი ეროვნული მიღწევით აღინიშნა: სპასოევიჩმა (იუგოსლავია) სამხტომში 16,39 მ აჩვენა (გაიმარჯვა რუმინელმა კორბუმ — 16,85), ხოლო რეპნერმა (შვეიცარია) 185 სმ სიმაღლე დაძლია.

△ პარიზი. გრენობლში მძლეოსანთა ზამთრის ევროპულ ჩემპიონატში ფრანგები 40 სპორტსმენით გამოვლენ. ნაკრებში 23 ვაჟი და 17 ქალია. მასპინძელთა გუნდში იქნებიან ბორბეიონი, დრიუ, ლეგოფი, ბესონი, დიუკლო, ტალიე და სხვ.

△ ვარშავა. პოლონელ მძლეოსანთა ასპარეზობისას ეროვნული მიღწევები დაამყარეს: იოაჰიმოვსკიმ სამხტომში — 16,53 მ, სტეპენმა კი სიგრძეზე ხტომაში — 779 სმ.

△ ტიონი (შვეიცარია). როგორც ცნობილია, ევროპის სამთო-მოთხილამურეთა თასის გათამაშებაში, რომელიც ამ სეზონიდან შემოიღეს, მსოფლიო თასის გათამაშების მიღმა დარჩენილი სპორტსმენები მონაწილეობენ. აქ გაიმართა მორიგი ეტაპი — შეჯიბრება სწრაფდაშვებაში, რომელიც ავსტრიელმა ენგშტილერმა მოიგო. II ადგილზეა მისი თანაგუნდელი ბერმშტოლდი, III — იტალიელი პერორარი. საერთოდ ტურნირს 171 ქულით პერორარი ლიდერობს, ბერმშტოლდს 164 ქულა აქვს. იტალიელი შმალცი III ადგილზეა — 110 ქულა.

△ ჩიკაგო. იაპონიის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრებმა აქ იოლად დაამარცხა აშშ-ს კოლექტივი — 286,15:272,65.

△ ხარპსბორგი (ნორვეგია). აქ გაიმართა ნორვეგიისა და გდრ-ის ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომელიც სტუმრებმა მოიგეს — 876,65:847,90. პირად ტურნირში I-V ადგილები გერმანელებს ხვდათ. გამარჯვებულმა კ. იანცმა 77,55 ქულა მოაგროვა.

△ სტოკჰოლმი. შვედეთის სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრებაში ი. დალგრენმა 222 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ეს ლენინგრადელი ი. გარმაკის წლევანდელი მსოფლიო სეზონის საუკეთესო შედეგის გამეორებაა.

## ინგლისი

შაბათს ლონდონის „უემბლის“ წინდორზე ლიგის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჩელსი“ და „სტოკ-სიტი“.

ანგარიში კონროიმ („სტოკ-სიტი“) გახსნა, მაგრამ ოზგუდმა ძნელი გოლის გატანით გაქვითა — 1:1. მატჩის მიწურულს, როცა „ჩელსი“ შეტევაზე იყო, „სტოკ-სიტის“ ვეტერანმა ისტჰემმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა — 2:1. მისმა გუნდმა ლიგის თასი მოიპოვა და გაისად უეფა-ს თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

ჩემპიონატის მატჩებში სენსაცია იყო „ლიდსის“ ასტრონომიული ანგარიშით გამარჯვება „საუთჰემპტონთან“ — 7:0. მოულოდნელი იყო „ლივერპულის“ გამარჯვებაც „ევერტონთან“ — 4:0.

„მანჩესტერ-სიტიმ“ ფ. ლის გოლების წყალობით 2 ქულა აიღო ლონდონის „არსენალთან“ შეხვედრაში — 2:0.

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ მოუგო „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 2:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ-სიტი“ | 31 | 61:34 | 43 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 30 | 51:22 | 41 |
| „დერბი ქაუნთი“ | 30 | 52:23 | 40 |

## შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკმა“ 2 ქულა აიღო „ეირ იუნაიტედთან“ შეხვედრაში — 2:0. ორივე ბურთი გაიტანა დინსმა. „აბერდინი“ გასვლით შეხვედრაში დამარცხდა „პარტიკ თისტლთან“ — 0:2. „გლაზგო რეინჯერსმა“ მოუგო „კილმარნოკს“ — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 25 | 75:18 | 46 |
| „აბერდინი“ | 26 | 67:21 | 41 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 26 | 56:25 | 38 |

## იუგოსლავია

დაიწყო იუგოსლავიის ჩემპიონატის მეორე წრე. სარაევოს „ჟელეზნიჩარმა“ შინ მოუგო კრაგუევაცის „რადნიჩკის“ — 2:0, ხოლო ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ — ზაგრების „დინამოს“ — 5:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჟელეზნიჩარი“ | 18 | 29:14 | 26 |
| „ცრვენა ზვეზდა“ | 18 | 30:10 | 25 |
| „ვოივოდინა“ | 18 | 26:13 | 24 |

## გფრ

გელზენკირხენის „შალკე 04“-მა შინ სძლია მაინის ფრანკფურტის „აინტრახტს“ — 2:0. მენხენგლადბახში შეხვდნენ ადგილობრივი „ბორუსია“ და მიუნხენის „ბაიერნი“. დაძაბული ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „შალკე 04“ | 22 | 48:16 | 36 |
| „ბაიერნი“ | 22 | 59:21 | 33 |
| „ბორუსია“ | 22 | 56:25 | 31 |

## იტალია

ჩემპიონატის XX ტურის 8 შეხვედრიდან 6 ფრედ დამთავრდა, ამასთან, გატანილი იქნა მხოლოდ 15 გოლი. რომში ადგილობრივმა „რომამ“ ფრედ ითამაშა ტურინის „იუვენტუსთან“ — 1:1, „მილანმა“ — „სამპდორიასთან“ — 0:0. „ტორინომ“ აჯობა მილანის „ინტერნაციონალეს“ — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 20 | 34:17 | 29 |
| „მილანი“ | 20 | 24:12 | 27 |
| „ტორინო“ | 20 | 24:17 | 27 |

## ესპანეთი

მადრიდში ადგილობრივმა „რეალმა“ ამანსიოს ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო „მალაგას“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 23 | 35:15 | 35 |
| „ვალენსია“ | 23 | 35:19 | 29 |
| „ბარსელონა“ | 23 | 28:18 | 28 |

## პორტუგალია

ლისაბონში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „ბენფიკა“ და „ბელენენსეში“. გაიმარჯვა „ბენფიკამ“ — 1:0. სეტუბალის „ვიტორიამ“ შინ სძლია „ბარეირენსეს“ — 4:0.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია ა. ჟორჟე („ბენფიკა“) — 20 გოლი. ფაჟიუ („ვიტორია“) 19 გოლით მეორეა, ხოლო ეუსებიო („ბენფიკა“) 11 გოლით — მესამე.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 21 | 59:9 | 39 |
| „ვიტორია“ | 21 | 48:13 | 32 |
| „სპორტინგი“ | 21 | 39:19 | 30 |

## ჰოლანდია

როტერდამში „ექსცელსიორმა“ წააგო ამსტერდამის „აიაქსთან“ — 0:4, „დვს ამსტერდამი“ კი დამარცხდა როტერდამის „ფეიენოორდთან“ — 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 22 | 54:13 | 41 |
| „ფეიენოორდი“ | 22 | 48:11 | 37 |
| „სპარტა“ (როტერდამი) | 22 | 47:23 | 30 |

## ბელგია

„ბრიუგემ“ შინ აჯობა „ბეერსკოტს“ — 2:0. ლიეჟის „სტანდარდმა“ გასვლითი შეხვედრა მოუგო „ბევერენს“ — 2:0. ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „იუნიონ სენ-ჟილუაზი“.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრიუგე“ | 22 | 48:16 | 34 |
| „სტანდარდი“ | 22 | 40:13 | 33 |
| „ანდერლეხტი“ | 22 | 44:21 | 30 |

## საფრანგეთი

მარსელში ადგილობრივმა „ოლიმპიკმა“ ფრედ ითამაშა „ნანსისთან“ — 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მატჩი მონაკოში ამავე სახელწოდების გუნდსა და ნიმის „ოლიმპიკს“ შორის. „სტად რენმა“ შინ მოუგო „ლილს“ — 5:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი“ (მარსელი) | 25 | 53:24 | 36 |
| „ოლიმპიკი“ (ნიმი) | 25 | 50:22 | 33 |
| „სტად რენი“ | 24 | 40:26 | 30 |

# საკუთარი ინფორმაცია

# კვლავ ჯილდოები

ლეიკ პლესიდი, 5 მარტი. საბჭოთა სტუდენტმა ნ. სოლდატოვამ 500 მეტრზე ციგურებით სწრაფრბენაში თავის ბრინჯაოს მედალს გაცილებით მეტი ღირსების — ოქროს ჯილდო დაუმატა 1000-მეტრიან დისტანციაზე ასპარეზობისას — 1.39,2. მსოფლიო უნივერსიადის კიდევ ერთ ჯილდოს დაეუფლა საბჭოთა სპორტსმენი ტ. გორობეცი, რომელმაც 1000 მ 1 წუთსა და 42,6 წამში გაირბინა.

თბილი ამინდის გამო ვაჟებს 5000-მეტრიანი დისტანცია 3000 მეტრით შეუცვალეს. საბჭოთა სპორტსმენებმა აქ ორი მედალი მოიხვეჭეს: ვერცხლისა — ვ. ლავრუშკინმა (4.50,4), ბრინჯაოსი — ა. ჩეკულაევმა (4.57,1). უნივერსიადის ჩემპიონი გახდა ჰ. კეიპერსი (ჰოლანდია) — 4.48,2.



# 70 ჭაბუკის მონაწილეობით

აფხაზეთის დედაქალაქში სამ დღეს მიმდინარეობდა ჭაბუკ მოკრივეთა საქალაქო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ „დინამოს“, „განთიადის“, „სპარტაკის“, მე-2 სპორტსკოლისა და გულრიფშის რაიონის სპორტსმენები. რინგზე 70 ჭაბუკი გამოვიდა. შეჯიბრების მიზანი იყო უძლიერესი მოკრივეების გამოვლინება და სოხუმის ნაკრების დაკომპლექტება, რომელიც აფხაზეთის პირველობაში იასპარეზებს.

მეორე საშუალო და მძიმე წონით კატეგორიებში პირველობა არ გათამაშებულა, ვინაიდან ამ წონებში მხოლოდ თითო მონაწილე იყო.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. მიხაილიდიმ, ნ. თხელიძემ (ორივე — სპორტსკოლა), ჯ. რშტუნიმ („განთიადი“), ნ. ცაავამ („დინამო“), ბ. გაბრავამ („განთიადი“), ფ. სუნდულიდიმ (სპორტსკოლა), გ. კეროპოვმა, ა. შამათავამ (ორივე — „დინამო“), ე. დავითიანმა (გულრიფშის რაიონი) და ო. ლეკარენკომ („სპარტაკი“).

ბ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

• • •

სურათზე: შამათავასა (მარჯვნივ) და სერიოგინის ფინალური შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

# ჭადრაკი

# ქულები—თანაბარი, ადგილი—მეორე

ხალხმრავალი გამოდგა თბილისის რკინიგზელთა სახლში გამართული ამიერკავკასიის პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (9 ტური) ჩატარდა, თბილისის, ერევნის, სამტრედიის რაიონული საბჭოების, რკინიგზის თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლისა და პიონერთა სასახლის 8 ოსტატობის კანდიდატი და 32 პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი ერევნელ სტომატოლოგს ა. აგაჯანიანს (8 ქულა) ხვდა წილად. II ადგილზე გავიდა თბილისელი ინჟინერი გ. ეგიაშვილი (7,5), III — მეტროპოლიტენის ინჟინერი ნ. ჩახოიანი (6,5). აღსანიშნავია, რომ ეგიაშვილმა, რომელიც 7 წელია არ გამოსულა შეჯიბრებაში, კვლავ შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. ერევნელი ს. გასპარიანი ამ ნორმატივს პირველად მისწვდა.

გუნდურ ჩათვლაში (სამი საუკეთესო შედეგის მიხედვით) ერევნისა და თბილისის გუნდებმა 19-19 ქულა მოაგროვეს. კოეფიციენტის ცხრილით გამარჯვება სტუმრებს ერგოთ. 18 ქულით III ადგილზე არიან ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მოჭადრაკეები.

ტურნირის შედეგების მიხედვით დაკომპლექტებული ნაკრები მოსკოვში „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში ითამაშებს.

თ. თენგოშვილი.

# ჩვენ გაზეთი ჩასაფრენ... 1945

◆ კაირო, 6 მარტი. ჩოგბურთელთა ტრადიციული ნადავლი — ეროვნებათა თასი, რომლისთვისაც ყოველწლიურად იბრძვიან „გეზირის“ კორტებზე, ჩეხოსლოვაკიელებმა დაისაკუთრეს: მათ ანგარიშით 3:0 სძლიეს სსრ კავშირის წარმომადგენლებს. ფ. პალამ მოუგო ა. მეტრეველს (6:1, 6:3), თ. გრჟებეცმა — ე. ბობოლევს (6:4, 6:1), მერე კი გამარჯვებულებმა წყვილთა თანრიგში აჯობეს მეტრეველსა და ს. ლიხაჩოვს — 6:3, 7:5.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# თბილისის სპორტულ ბანაკში

კალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. 7 მარტი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი)—„სტროიტელი“ (კიევი). დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა — 18 ს., ძირითადი შემადგენლობებისა — 20 ს.

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 7-8 მარტი. შეჯიბრება საქართველოს ქალთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 15 ს.

მოტოკროსი. დელისის მიდამოები. 8 მარტი. საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის, კუბის, ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით. დასაწყისი 13 ს.

# მატჩი შედგება რუსთავში

თბილისის „დინამოს“ განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა ხარკოვის „მეტალისტთან“ სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში შედგება 8 მარტს რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე.

დასაწყისი 15 ს.



უსიტყვოდ.

ა. ერაძის ნახატი.